



# ფინანსური აუდიტის ანგარიში





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

**“ვაშტიკვა”**

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
**სალომე სანებლიძე**

“24” დეკემბერი 2019 წელი

N 53/36

ვგზ.: N 1

საქართველოს ბარათის დაცვისა და სოფლის  
მეურნეობის სამინისტრო

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისთვის  
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების  
აუდიტის ანგარიში

# შინაარსი

ძირითადი ნაწილი	<b>ტერმინები და შემოკლებები</b>	2
	<b>ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ</b>	3
	<b>დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე</b>	4
	<b>1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები</b>	5
	<b>2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი</b>	15
	<b>3. სხვა გარემოებები</b>	17
	<b>4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა</b>	18
	<b>დანართები</b>	
	<b>ფინანსური ანგარიშგების ფორმები</b>	21
	<b>საკონტაქტო ინფორმაცია</b>	26

<b>ტერმინები და შემოკლებები</b>	<b>აღრიცხვის ინსტრუქცია</b> – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
	<b>გარემოს დაცვის სამინისტრო</b> – ყოფილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
	<b>გარემოს სააგენტო</b> – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;
	<b>დაცული ტერიტორიების სააგენტო</b> – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო;
	<b>ლაბორატორია</b> – სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია;
	<b>პროექტების მართვის სააგენტო</b> – ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;
	<b>სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი</b> – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
	<b>სამინისტრო</b> – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
	<b>სამინისტროს აპარატი</b> – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;
	<b>სამხარაულის ექსპერტიზის ბიურო</b> – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
	<b>სატყეო სააგენტო</b> – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;
	<b>საშენი მეურნეობა</b> – სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა;
	<b>სოფლის მეურნეობის სამინისტრო</b> – ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
<b>სურსათის სააგენტო</b> – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო.	

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროების მართვა და ხელშეწყობა. სამინისტროს ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი რესურსების მართვა და სახელმწიფო კონტროლი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, აგრარული რეფორმები, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა და სხვ.

სამინისტროს მმართველობაშია 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი საქვეუწყებო დაწესებულება.

**ცხრილი N1.** ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ (ათას ლარებში):

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის %	საკასო
<b>სულ სამინისტრო</b>	<b>262,465</b>	<b>271,424</b>	<b>3.4%</b>	<b>263,009</b>
<b>მომუშავეთა რიცხოვნობა</b>	<b>3,751</b>	-	-	-
ხარჯები	226,481	211,138	-6.8%	213,553
მ.შ. შრომის ანაზღაურება	43,440	42,687	-1.7%	42,581
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,489	24,845	84.2 % <sup>1</sup>	16,590
ფინანსური აქტივების ზრდა	22,495	35,441	57.6% <sup>2</sup>	32,866

**ცხრილი N2.** ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების<sup>3</sup> გადანაწილების შესახებ (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	263,009	100%
ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	101,689	38.66%
სამინისტროს აპარატი	61,268	23.30%
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	35,916	13.66%
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	11,137	4.23%
სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	11,112	4.22%
სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო	10,195	3.88%
სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო	9,168	3.49%
სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო	8,504	3.23%
სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	6,042	2.30%
სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	3,848	1.46%
სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	2,090	0.79%
სსიპ – ბირთვული და რადიაციული ცენტრი	1,014	0.39%
სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობა	816	0.31%
სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო	210	0.08%

<sup>1</sup> ზრდა ძირითადად გამოწვეულია „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ თანხების გამოყოფით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობისთვის.

<sup>2</sup> ზრდა ძირითადად გამოწვეულია შპს „მექანიზატორის“ მიერ ბიუჯეტის კანონით მიღებული დაფინანსებით.

<sup>3</sup> ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, შემოსავლებმა, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შეადგინა 73,109 ათასი ლარი. აქედან, 38,012 ათასი ლარი წარმოადგენს გრანტის სახით მიღებულ შემოსავალს, ხოლო 35,097 ათასი ლარი შეადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების საკუთარ შემოსავლებს.

## დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას

## უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს<sup>4</sup> მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

<sup>4</sup> „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

# 1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

## საკითხი 1.1 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საგრანტო პროექტის ფარგლებში ავანსის სახით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება დონორი ორგანიზაციის (KfW) მიმართ, 397,726 ლარის ოდენობით. აუდიტის მიმდინარეობისას მოძიებული პირველადი დოკუმენტების მიხედვით, აღნიშნული თანხის შესაბამისი სამუშაოები შესრულებულია. შესაბამისად, ის აღარ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. სამინისტროს განმარტებით, დავალიანება ჩამოიწერება და აისახება 2019 წლის 6 თვის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში საგრანტო პროექტის<sup>5</sup> ფარგლებში ავანსის სახით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება 2018 წლის ბოლოსთვის, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია 145,529 ლარით. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ზემოაღნიშნული დებიტორული დავალიანება უნდა გაზრდილიყო 347,701 ლარით. შესაბამისად, დაცული ტერიტორიების 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი არასწორად არის შემცირებული 202,172 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის გაზრდილი მოთხოვნების მუხლი 397,726 ლარით, ხოლო დაცული ტერიტორიების სააგენტოს მოთხოვნების მუხლი არასწორად არის შემცირებული 202,172 ლარით.

## საკითხი 1.2 სხვა მატერიალური მარაგები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისა და სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულია ჯამურად 927,064 ლარის<sup>6</sup> ექსპლუატაციაში მყოფი ან გამოსაყენებლად უვარგისი<sup>7</sup> მატერიალური მარაგები, რომლებიც აღრიცხვის ინსტრუქციის<sup>8</sup> შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია საწყობებში 2018 წელს ხე-ტყის მოძრაობის რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ. სათანადო კონტროლის მექანიზმები აქტივების დაცვასა და განკარგვასთან დაკავშირებით ორგანიზაციაში არ არის დანერგილი. აღნიშნული, წარმოშობს ხე-ტყის რესურსების არამიზნობრივად განკარგვისა და დანაკარგების რისკს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეუძლებელია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ის „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლში ნაშთად ასახული 1,456,743 ლარის მარაგების და ასევე 2018 წელს 6,223,313 ლარის ხარჯებში ჩამოწერილი ხე-ტყის სიზუსტისა და სისრულის დადასტურება.

ამავე სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 119,688 ლარის ღირებულების უკანონოდ მოჭრილი და ჩამორთმეული ხე-ტყე, რომლის განკარგვის უფლება სატყეო სააგენტოს არ გააჩნია, ვინაიდან არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაბამისად, აღნიშნული მარაგი ვერ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

<sup>5</sup> დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველო

<sup>6</sup> 815,496 ლარი – დაცული ტერიტორიების სააგენტო, 93,038 ლარი – ლაბორატორია, 18,530 ლარი – სურსათის სააგენტო.

<sup>7</sup> მაგალითად: ვადაგასული სადიაგნოსტიკო მასალები და ვადაგასული სერტიფიკატები.

<sup>8</sup> 143-ე მუხლის 32-ე და 33-ე პუნქტები.



ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ საბოლოო ნაშთი არასწორად არის გაზრდილი 1,046,752 ლარით, ხოლო ფორმა N1-ში 1,456,743 ლარის ღირებულების „სხვა მატერიალური მარაგების“ საბოლოო ნაშთის არსებობაზე, სისწორესა და სისრულეზე – ვერ მივიღეთ რწმუნება.

### საკითხი 1.3 ძირითადი აქტივები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში ასახული 6,717,058 ლარის ნაშთის შესახებ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები:

- სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,816,078 ლარის დაუმთავრებელი მშენებლობა, რომელზეც სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.<sup>9</sup> ასევე, სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია, თუ სად მდებარეობს აღნიშნული აქტივი. შესაბამისად, არასწორად არის გაზრდილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი 1,816,078 ლარის ოდენობით.
- სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს ბალანსში სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის ანგარიშზე აღრიცხულია ეზოს კეთილმოწყობასთან დაკავშირებული სამუშაოები ჯამური ღირებულებით – 51,449 ლარი. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება, რა სამუშაოები იყო ჩატარებული და შესაბამისად, აკმაყოფილებდა თუ არა აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.
- სურსათის სააგენტოს 2018 წელს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან უსასყიდლოდ გადმოეცა საოფისე ფართები და მიწის ნაკვეთი ნულოვანი ღირებულებით.<sup>10</sup> სააგენტომ არ შეაფასა აღნიშნული აქტივები და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში წარდგენილია მხოლოდ შენობაზე გაწეული კაპიტალიზებული ხარჯი, ღირებულებით – 53,645 ლარი. შესაბამისად, აღნიშნული თანხა სამართლიანად ვერ ასახავს შენობა-ნაგებობისა და მიწის ღირებულებას.
- სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში გაორმაგებულად არის ასახული „გფა კონსალტინგ გრუპის“ მიერ 2018 წელს გადმოცემული ავტომობილების ღირებულება,<sup>11</sup> რის გამოც 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 261,149 ლარით. ასევე არასწორად არის გაზრდილი ფორმა N2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი 32,938 ლარით.
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 1,815,139 ლარის ძირითადი აქტივების მიღების პირველადი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. 2,719,598 ლარის ძირითად აქტივებზე კი წარმოდგენილ პირველად დოკუმენტაციაში მითითებულ ღირებულებებსა და ძირითადი საშუალებების რეესტრში ასახულ ისტორიულ ღირებულებებს შორის გამოვლინდა 543,418 ლარის სხვაობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულებები 4,534,737 ლარის ძირითადი აქტივების ღირებულების სისწორეზე.

<sup>9</sup> ბალანსზე ირიცხება 2006 წლიდან

<sup>10</sup> ჯამური საოფისე ფართი – 123 კვ.მ, მიწის ნაკვეთი – 19,401 კვ.მ.

<sup>11</sup> „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველოს“ ფარგლებში ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი გრანტით მიღებული ავტომობილები.

მიღებული განმარტებით, 2018 წლის ბოლოს სააგენტომ დაიწყო მუშაობა ზემოაღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად.

სამინისტროს ბალანსზე ასახულია 2,831,291 ლარის ღირებულების მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული აქტივები, რომელთა განკარგვის უფლებამოსილება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით მიკუთვნებული აქვს მუნიციპალიტეტებს:

- გარემოს სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,818,045 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები, საიდანაც 248,740 ლარის ღირებულების აქტივების იდენტიფიცირებას სააგენტო ვერ ახდენს. გარემოს სააგენტოს არ გააჩნია აღნიშნული აქტივების განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება,<sup>12</sup> შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას. აღსანიშნავია, რომ 2019 წლის მარტში ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტს გადაეცა 21,397 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები. დანარჩენი ნაპირსამაგრი ნაგებობების გადაცემის მოთხოვნით, გარემოს სააგენტოს შესაბამისი მუნიციპალიტეტებისათვის გაგზავნილი აქვს წერილები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით;
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,013,246 ლარის ღირებულების სხვა ნაგებობა – ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის წყალსადენი სისტემა, რომელზეც სამუშაოები შესრულებულია 2014-2015 წლებში. სააგენტოს არ გააჩნია<sup>13</sup> აღნიშნული აქტივის განკარგვისა და კონტროლის უფლებამოსილება, შესაბამისად, ექვემდებარება ჩამოწერას.

სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლთან დაკავშირებით ასევე გამოვლინდა შემდეგი გარემოებები:

სურსათის სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული არ აქვს საერთაშორისო ორგანიზაცია USAID/Georgia-სგან 2018 წელს უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი საშუალებები,<sup>14</sup> რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 489,977 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები და შემოსავალი<sup>15</sup> არასწორად არის შემცირებული 489,977 ლარის ოდენობით. სააგენტოს განმარტებით, ხარვეზი გასწორებულია და ასახულია 2019 წლის კვარტალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახულია 498,889 ლარის ღირებულების მიწა და 323,883 ლარის ღირებულების სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები. 498,889 ლარის ღირებულების მიწიდან, ასეთი აქტივის სახით აღიარებას ექვემდებარება მხოლოდ ქობულეთში მდებარე 55,196 ლარის ღირებულების აქტივები. მიწის სახით აღრიცხული დანარჩენი 443,693 ლარის აქტივები წარმოადგენს სააგენტოს მართვაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებულ სადემარკაციო და სხვა სახის სამუშაოებს, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხარჯებს და არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. აგრეთვე, სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით ვერ დასტურდება 323,883 ლარის აქტივები აკმაყოფილებს თუ არა „დანარჩენი ბუნებრივი აქტივების მუხლში“ აღიარების კრიტერიუმებს. ასევე აღსანიშნავია, რომ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის

<sup>12</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

<sup>13</sup> „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>14</sup> ფაროსანას საწინააღმდეგოდ დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში გადაცემული 11 ერთეული შემასხურებელი აპარატი.

<sup>15</sup> კაპიტალური გრანტი.



მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით – 166,222 კვ.მ, რაც საჯარო რეესტრის მონაცემებით სააგენტოს სარეგისტრაციო და აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ექვემდებარება სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას.

გარემოს სააგენტოს ბალანსზე ასახულია 431,156 ლარის შენობა-ნაგებობები, რომლებიც საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით ეკუთვნის სხვადასხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ხოლო ქ. ბათუმში მდებარე 30,380 ლარის ღირებულების შენობა, ფიზიკურად აღარ არსებობს. შესაბამისად, სააგენტოს ბალანსზე ასახული 461,536 ლარის შენობა-ნაგებობები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და არასწორად არის გაზრდილი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი. სააგენტოს განმარტებით, აღნიშნული შენობა-ნაგებობების ჩამოსაწერად დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები.

2018 წელს სატყეო სააგენტომ გადააფასა ბალანსზე რიცხული საგარეჯოში არსებული მიწა და შენობა-ნაგებობები, რომელთა ღირებულება შეადგენდა 100,809 ლარს. გადაფასების შემდეგ ღირებულება განისაზღვრა 130,226 ლარით. სააგენტოს მიერ არასაოპერაციო შემოსავლად აღიარდა მთლიანი გადაფასებული ღირებულება, ნაცვლად ნამეტი 29,417 ლარისა. შედეგად, ძირითადი აქტივების მუხლი და არასაოპერაციო შემოსავლები არასწორად არის გაზრდილი 100,809 ლარით.

2018 წელს სატყეო სააგენტომ გადააფასა სოფ. მარტყოფში მდებარე 1000 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობა. შეფასების მიხედვით, ერთი კვ.მ შენობის საბაზრო ღირებულება შეადგენს 30 ლარს. დასკვნაში დაშვებული შეცდომის გამო, აღნიშნული ქონება ბალანსზე აყვანილია 3,000 ლარით, ნაცვლად 30,000 ლარისა. შედეგად აღნიშნული ქონება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში წარმოდგენილია 2,898 ლარით, ნაცვლად – 27,960 ლარისა.

სატყეო სააგენტომ განახორციელა ამბროლაურის რაიონის სოფ. სადმელში მდებარე შენობის სარემონტო /სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 26,443 ლარი, რაც არ აღურიცხავს როგორც აქტივი. შესაბამისად, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში 26,443 ლარით არასწორად არის შემცირებული ძირითადი აქტივის ღირებულება ფორმა N1-ში და ამავე თანხით არასწორად არის გაზრდილი საქონლისა და მომსახურების ხარჯი ფორმა N2-ში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში ასახული 163,661,288 ლარის ღირებულების „ძირითადი აქტივების“ ნაშთის სიზუსტეზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები.

#### საკითხი 1.4 გრანტები (შემოსავალი)

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდიდან<sup>16</sup> 2017 წელს უსასყიდლოდ გადმოცემული 87,197 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები ასახული აქვს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი არასწორად არის გაზრდილი 87,197 ლარით.

2017 წელს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული და აღიარებული მიზნობრივი გრანტის გაუხარჯავი ნაწილი – 1,796,955 ლარის ოდენობით, 2018 წელს განმეორებით აღიარებულია გრანტის სახით მიღებულ შემოსავლად. შედეგად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ

<sup>16</sup> ყოფილი – კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი.

ფინანსურ ანგარიშგებაში 1,796,955 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 1,884,152 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი.

## საკითხი 1.5 სხვა შემოსავლები

### სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო – შემოსავლები რეგულირების საფასურიდან

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებთან ერთად, შემოსავალს იღებს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის რეგულირების საფასურიდან, რომელსაც არეგულირებს საქართველოს კანონი „რეგულირების საფასურის შესახებ“. აღნიშნული კანონით, სააგენტოს მიერ გაცემული ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზიებიდან, რეგულირების საფასურს იხდიან მხოლოდ თევზჭერის ლიცენზიით მოსარგებლები.<sup>17</sup> 2018 წელს სააგენტოს მიერ რეგულირების საფასურიდან მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანად მიღებული საკუთარი შემოსავლების 71% შეადგინა.

გარემოს სააგენტოს მიერ 2018 წლის დეკემბრამდე თევზჭერის რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდებოდა დამტკიცებული კვოტის<sup>18</sup> შესაბამისად თანაბარ ნაწილებად, წელიწადში – 2-ჯერ.<sup>19</sup> აღნიშნული პრინციპი არ შეესაბამებოდა აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს,<sup>20</sup> რომლის მიხედვით, ისეთი ხელშეკრულების პირობებში, რომელიც ლიცენზიის მიმღებს უფლებას აძლევს თავისუფლად გამოიყენოს ეს უფლებები და ლიცენზიის გამცემს არ რჩება არავითარი შესასრულებელი ვალდებულება, შემოსავლის აღიარება ხდება გაყიდვისთანავე. 2018 წლის დეკემბერში სააგენტომ შეცვალა რეგულირების საფასურიდან მიღებული შემოსავლების აღიარების პრინციპი და დამტკიცებული კვოტის მიხედვით სრულად აღიარა მთელი წლის გეგმის შესაბამისი რეგულირების საფასური – 1,425,000 ლარის ოდენობით. 2018 წლის ივნისში, მანამდე არსებული პრინციპით, სააგენტოს უკვე აღიარებული ჰქონდა გეგმით გათვალისწინებული რეგულირების საფასურის ნაწილი – 562,500 ლარის ოდენობით, რომელიც უნდა აღიარებულიყო 2017 წელს. შედეგად, 2018 წელს დარიცხულმა შემოსავალმა შეადგინა 1,987,500 ლარი, რაც 562,500 ლარით აღემატება 2018 წელს მისაკუთვებელ შემოსავლებს.

### დაცული ტერიტორიების სააგენტო

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში შემოსავლის აღიარება ხორციელდება საკასო მეთოდით, აგრეთვე არ არის შემუშავებული მისაღები შემოსავლების სიზუსტისა და დროულად აღრიცხვის კონტროლის მექანიზმი.

დაცული ტერიტორიების სააგენტო იჯარით გასცემს ტურისტულ ობიექტებს. სააგენტოს მიერ იჯარიდან მისაღებ შემოსავლებზე გავლენას ახდენს იჯარით გაცემული ობიექტების მიერ გამოიმუშავებული შემოსავლები. შესაბამისად, ხელშეკრულების მიხედვით, მოიჯარემ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ყოველთვიურად უნდა წარუდგინოს საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები, გადასახდელი იჯარის თანხის გამოსათვლელად. ზოგიერთ შემთხვევაში მოიჯარეების მიერ დროულად არ არის ან არასრულყოფილად არის წარდგენილი საბანკო და სალარო აპარატის ამონაწერები.

<sup>17</sup> ლიცენზიით გათვალისწინებული თევზების სახეობებიდან, რეგულირების საფასური განსაზღვრული აქვს მხოლოდ ქაფშიას.

<sup>18</sup> შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიის მფლობელი რეგულირების საფასურს იხდის გარემოს სააგენტოს უფროსის ბრძანებით, თევზჭერის სეზონისთვის განსაზღვრული ყოველწლიური კვოტის მიხედვით.

<sup>19</sup> დეკემბერსა და ივნისში.

<sup>20</sup> მუხლი 1, პუნქტი 6 (IPSAS 9—Revenue from Exchange Transactions, პუნქტი 25).

ამასთანავე, უმეტეს შემთხვევაში მოიჯარეები ხელშეკრულებების მიხედვით ვალდებულნი არიან სააგენტოს წარუდგინონ გადაცემულ ქონებაზე გაწეული საქმიანობით მიღებული ბრუნვის აუდიტორული შემოწმების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშები სააგენტომ ვერ წარმოადგინა.

შესაბამისად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია მოიჯარეების მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ, რაც ზრდის მისაღები შემოსავლების დაკარგვის რისკს.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოში შექმნილია ინსპექტირების ჯგუფები, რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობას. თუმცა, აღნიშნული პროცესი წარმოადგენს გამოვლენითი ხასიათის კონტროლის ღონისძიებას და არა პრევენციულს. შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს შემოსავლების ზუსტად და დროულად აღრიცხვის სათანადო კონტროლს.

### **სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს შემოსავლები**

ტყის მიწები კავშირგაბმულობის ნაგებობების განთავსების მიზნით მოიჯარეებზე გაიცემა აუქციონის წესით, გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე. რამდენიმე შემთხვევაში 2018 წელსა და წინა პერიოდებზე, ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდგომ, გარკვეულ პერიოდებში მოიჯარეები ტყის მიწებით ფაქტობრივად სარგებლობენ ხელახალი აუქციონის გამოცხადების და ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, რითაც სატყეო სააგენტომ დაკარგა მნიშვნელოვანი ოდენობის შემოსავლები. მხოლოდ 2018 წელს, მეიჯარეს სააგენტოსთვის 129,674 ლარით ნაკლები აქვს გადახდილი.

ამასთანავე, სააგენტოს არასწორად აქვს გამიჯნული შემოსავლები 2018 და 2019 წლებს შორის. 2018 წელს ნაცვლად 1,240,965 ლარის შემოსავლისა, აღიარებულია 1,560,673 ლარი. შესაბამისად, „სხვა შემოსავლების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 319,708 ლარით.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა შემოსავლებთან ერთად, შემოსავალს იღებს ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულების სარგებლობის უფლების გაცემიდან, რაც რეგულირდება მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტყითსარგებლობის წესით. აღნიშნული წესის შესაბამისად, მოსარგებლე ვალდებულია სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში და გადაიხადოს სარგებლობის უფლების მინიჭების საფასური. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია ტყის ფონდით სარგებლობის 3 უფლება, თუმცა, შესაბამისი მოთხოვნა საკომპენსაციო თანხაზე, მიწის ფართობით სარგებლობისთვის, 75,744 ლარის ოდენობით არ არის აღიარებული. სააგენტოს არ განუხორციელებია შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები, რათა მოსარგებლეებმა შეასრულონ ვალდებულებები. არსებობს რისკი იმისა, რომ შესაბამისმა სუბიექტებმა ისარგებლონ მიწის ფართობით, თანხის გადახდის გარეშე.

### **საკითხი 1.6 შრომის ანაზღაურება**

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში არ ხორციელდებოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსით<sup>21</sup> დადგენილი საშემოსავლო გადასახადის დაკავება და სახსრების მიმართვა სახელმწიფო ბიუჯეტში. წარმოდგენილი ინფორმაციის და დოკუმენტაციის მიხედვით, 2018 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის ნაცვლად თანამშრომელთა სახელფასო ანგარიშებზე ჯამურად ჩაირიცხა 57,772 ლარი.

<sup>21</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსი

სააგენტოს განმარტებით, სახელმწიფო ბიუჯეტში თანხების დაბრუნების მიზნით დაწყებულია შესაბამისი პროცედურები და 2019 წლის 30 აგვისტოს მდგომარეობით დაბრუნებულია 51,533 ლარი.

### საკითხი 1.7 გრანტები (ხარჯები)

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გრანტის ხარჯად აღიარებული აქვს ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდისა და ა(ა)იპ – ასოციაცია „ატუს“ მიერ სააგენტოსათვის უსასყიდლოდ გაწეული მომსახურებები, საერთო ღირებულებით – 616,637 ლარი. აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,<sup>22</sup> მომსახურების უსასყიდლოდ მიღება ნაცვლად გრანტის ხარჯისა, აღიარებული უნდა იყოს შესაბამისი კატეგორიის ხარჯად და ამავდროულად მიღებული გრანტის ან „სხვა შემოსავლების“ მუხლში. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 616,637 ლარით არასწორად არის შემცირებული შემოსავლებისა და საქონლის და მომსახურების მუხლები. ამავდროულად, ამავე თანხით არასწორადაა გაზრდილი გრანტის ხარჯი.

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ 2018 წელს ვანის მუნიციპალიტეტის მერიისათვის გადაცემულია 11,862 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა. სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული აღნიშნული ქონების ღირებულება და შესაბამისად, გრანტის ხარჯი. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ქონების რეალური ღირებულებით არასწორად არის შემცირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის ძირითადი და არაწარმოებული აქტივების საწყისი ღირებულება და გრანტის ხარჯი.

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების მიხედვით,<sup>23</sup> საჯარო სამართლის იურიდიულმა პირებმა 2018 წელს მობილიზებული, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული (საკუთარი) შემოსავლების არანაკლებ 10% უნდა მიმართონ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში, ყოველი კვარტლის ბოლო სამუშაო დღეს. 2018 წელს სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს ბიუჯეტში მიმართული აქვს საკუთარი შემოსავლების მხოლოდ 8%, ანუ 470,000 ლარი, რაც არ შეესაბამება „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნულ მოთხოვნას.

ზემოხსენებული გარემოება გამოწვეულია იმით, რომ 2018 წელს ფაქტობრივად მიღებულმა საკუთარი შემოსავლებმა გადააჭარბა დაგეგმილ მაჩვენებელს, რაც მოითხოვდა შესაბამის ცვლილებას „ხარჯების“ მუხლში. კერძოდ, დაგეგმილი ხარჯის<sup>24</sup> გაზრდას ფაქტობრივი შემოსავლების 10%-მდე.

2018 წლის დეკემბერში სააგენტომ გასული წლის გამოცდილების გათვალისწინებით, მიმართა სამინისტროს მოთხოვნით, შეეტანა/გაეთვალისწინებინა ხარჯების გეგმაში ზემოაღნიშნული ცვლილება. შესაბამისი ცვლილება და თანხის დარჩენილი ნაწილის სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვა განხორციელდა 2019 წელს.

### საკითხი 1.8 სხვა ხარჯები

სატყეო სააგენტოს 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, სხვა ხარჯებად არის აღიარებული 1,330,378 ლარის მერქნული რესურსების მოსაკრებელი. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, მატერიალური მარაგების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც მოიცავს მათ შემენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, ხოლო მარაგის შექმნის

<sup>22</sup> მუხლი 72, პუნქტი 31.

<sup>23</sup> კანონი „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, მუხლი 34.

<sup>24</sup> მუხლი: „მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტს“.



დანახარჯები მოიცავს ყველა გადასახდელს დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით. მერქნული რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი წარმოადგენს ხე-ტყის მიღებასთან დაკავშირებულ აუცილებელ და გარდაუვალ დანახარჯს, რის გამოც ექვემდებარება მარაგების თვითღირებულებაში ასახვას. გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნული თანხით არასწორად არის გაზრდილი „სხვა ხარჯების“ მუხლი.

### საკითხი 1.9 ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა)

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო ისეთ აქტივებზე, რომლებსაც ღირებულება გაეზარდათ მიმდინარე პერიოდში გადაფასების ან არსებითი გაუმჯობესების შედეგად, ცვეთას ითვლის ახლად მიღებული ღირებულებიდან ინსტრუქციით გათვალისწინებული წლიური ცვეთის ნორმების შეუცვლელად, რაც იწვევს აქტივების ყოველწლიური ცვეთის ხარჯის შემცირებას. ზემოაღნიშნული ეწინააღმდეგება ცვეთის ინსტრუქციის მოთხოვნებს.<sup>25</sup> შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 663,479 ლარით არასწორად არის შემცირებული ფორმა N2-ის „კაპიტალის მოხმარების“ მუხლი, ხოლო ამავე თანხით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე აღრიცხულ 3,552,574 ლარის ძირითად აქტივებს 2018 წელს ცვეთა დარიცხული არ აქვს, რაც შეუსაბამობაშია აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან.<sup>26</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი, ხოლო ფორმა N2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის შემცირებული.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება 39,785 ლარის იარაღი,<sup>27</sup> თუმცა მათზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება. მოქმედი ინსტრუქციით<sup>28</sup> იარაღის ცვეთის ნორმა დადგენილი არ არის. ამავე ინსტრუქციის თანახმად, ასეთ შემთხვევაში, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ცვეთის ნორმების შესაბამისი პროექტი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

### საკითხი 1.10 სუბსიდიები (ხარჯი)

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში სუბსიდიის ხარჯად აღიარებული აქვს 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 1,589,727 ლარის ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება, რომლის მოთხოვნის უფლება სააგენტოს აღარ გააჩნდა. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,<sup>29</sup> აღნიშნული წარმოადგენს წინა პერიოდის ანგარიშგებაში დაშვებული შეცდომის კორექტირებას, შესაბამისად, ექვემდებარებოდა „საწყისი ნაშთისა და კაპიტალის“ მუხლის კორექტირებას, ნაცვლად საოპერაციო ხარჯად აღიარებისა. შედეგად, 1,589,727 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N2-ის „სუბსიდიის ხარჯის“ მუხლი და ამავე თანხით არასწორად არის შემცირებული ფორმა N4-ის „წინა წლების შეცდომების გასწორების“ მუხლი.

<sup>25</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 3, პუნქტი 1.

<sup>26</sup> მუხლი 143, პუნქტი 25.

<sup>27</sup> ცეცხლსასროლი იარაღი.

<sup>28</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“, მუხლი 1, პუნქტი 3.

<sup>29</sup> მუხლი 14, პუნქტი 10.

**საკითხი 1.11**  
**არასაოპერაციო**  
**შემოსავლები**

2018 წელს ა(ა)იპ – პროექტების მართვის სააგენტომ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან შეიძინა ავტომანქანა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მდებარე 1,255,060 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთები, თითოეული ნომინალური ღირებულებით – ერთი ლარი. აქტივების ღირებულება ამავე წელს განისაზღვრა შესაბამისად, 26,773 ლარით და 652,631 ლარით, რაც სააგენტომ აღიარა არასაოპერაციო შემოსავლად. გამომდინარე იქიდან, რომ აქტივები შეძენილია ნომინალური ღირებულებებით, აღნიშნული არაგაცვლითი ოპერაცია<sup>30</sup> და შესაბამისად, გადმოცემული აქტივები, ნაცვლად „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლისა, უნდა ასახულიყო გრანტის სახით მიღებულ შემოსავლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 679,404 ლარით არასწორად არის შემცირებული ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი, ხოლო ამავე თანხით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N4-ში „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი.

2018 წელს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე აღრიცხული არასაცხოვრებელი შენობა-ნაგებობები, ღირებულებით 1,504,916 ლარი, ჩამოიწერა არასაოპერაციო ხარჯებში, შენობის სართულებად გამიჯვნის და შეფასების მიზნით, შემდგომ სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოსთვის გადასაცემად.<sup>31</sup> სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული არასაცხოვრებელი შენობის სართულების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 7,565,366 ლარით, რომელიც სრულად აღიარდა არასაოპერაციო შემოსავლად. ასევე, 2018 წელს სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ბალანსზე არსებული გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები – ნარჩენი ღირებულებით 418,642 ლარი, ჩამოიწერა არასაოპერაციო ხარჯებში შემდგომში მათი ერთმანეთისგან გამიჯვნის და შეფასების მიზნით. დამოუკიდებელი აუდიტორის<sup>32</sup> დასკვნის საფუძველზე აღნიშნული აქტივების საბაზრო ღირებულება განისაზღვრა 764,000 ლარით, რომელიც სრულად აღიარდა არასაოპერაციო შემოსავლად.

ზემოაღნიშნული საკითხებიდან გამომდინარე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2,602,962 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N4-ის „არასაოპერაციო შემოსავლების“ მუხლი და 1,923,558 ლარით - „არასაოპერაციო ხარჯების“ მუხლი. ასევე, 679,404 ლარით არასწორად არის შემცირებული ფორმა N2-ის „გრანტების“ (შემოსავალი) მუხლი.

**საკითხი 1.12**  
**არასაოპერაციო ხარჯები**

ა(ა)იპ – პროექტების მართვის სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით წარმოშობილი, საბანკო ანგარიშზე არსებული ფულის ნაშთი 242,331 ლარის ოდენობით, აღიარებული აქვს არასაოპერაციო ხარჯად, რაც აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,<sup>33</sup> უნდა აღიარებულიყო ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებად. შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 242,331 ლარით არასწორად არის გაზრდილი ფორმა N4-ში „არასაოპერაციო ხარჯების“ მუხლი.

**საკითხი 1.13**  
**ბუღალტრული აღრიცხვა**

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს და სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოში ბუღალტრული აღრიცხვა არის არასრულყოფილი და უზუსტო. უმეტეს შემთხვევაში საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები და მოგება-ზარალის ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ

<sup>30</sup> მუხლი 156, პუნქტი 4.

<sup>31</sup> საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილება N565.

<sup>32</sup> შპს „აუდიტი + 2010“.

<sup>33</sup> მუხლი 72, პუნქტი 16.



მონაცემებს. ზემოაღნიშნულ სააგენტოებში არ გამოიყენება სპეციალიზებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები და აღრიცხვა წარმოებს MS Excel ფაილებში, რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების რისკს.

ასევე, სატყეო სააგენტო ძირითადი აქტივების ანალიზურ აღრიცხვას აწარმოებს ხარვეზებით. კერძოდ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად,<sup>34</sup> არ წარმოებს შესაბამისი საინვენტარო ბარათები და აქტივებს არ აქვს მინიჭებული საინვენტარო კოდები.

#### საკითხი 1.14 კონსოლიდაციის პროცესი

სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში არასწორად არის გაზრდილი „გრანტის“ სახით მიღებული შემოსავალი – 3,574,323 ლარით, ხოლო „გრანტის“ სახით გაწეული ხარჯი – 3,325,965 ლარით. ასევე არასწორად არის გაზრდილი „საქონელი და მომსახურების რეალიზაციის“ სახით მიღებული შემოსავალი – 272,594 ლარით, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ სახით გაწეული ხარჯი – 321,251 ლარით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია მიღებული შემოსავლებიდან 10,071,840 ლარი და გაწეული ხარჯებიდან 10,071,840 ლარი, ხოლო 3,846,917 ლარი შემოსავლებიდან და 3,647,216 ლარი ხარჯებიდან – ელიმინირებული არ არის.

2009 წელს სამინისტრომ შპს „შავი ზღვის ტერმინალთან“ ერთად დააფუძნა ა(ა)იპ – საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი. ფონდის მიზანია კოლხეთის ეროვნული პარკის, ქობულეთის ნაკრძალის, ქობულეთის ადკვეთილის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა. ფონდის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა დამფუძნებელთა საერთო კრება. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს ყველა დამფუძნებელი. შესაბამისად, ფონდი განიხილება, როგორც ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული ერთეული. აქედან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული უნდა იყოს ერთობლივ საწარმოში ფლობილი ინვესტიციები, რაც არ არის განხორციელებული.

*აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად*

<sup>34</sup> მუხლი 145.

## 2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

### საკითხი 2.1 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების მუხლი მოიცავს 18,644,738 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში 'ფინანსური აქტივის' მუხლით, მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სხვადასხვა იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების შედეგად. მათ შორის, 12,570,110 ლარი წარმოადგენს მოთხოვნას შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ, რომლის 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

ზემოაღნიშნული სესხები გაიცა სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

**ცხრილი N3.** სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გაცემული სესხები

ორგანიზაციის დასახელება	პირითადი თანხა	დარიცხული %	პირგასამტეხლო	სულ:
შპს „კოლხეთი-მ“	675,000	157,783	1,913,155	2,745,938
შპს „მტკვარი-მ“	1,650,000	257,694	966,750	2,874,444
შპს „ალაზანი-მ“	925,000	182,807	2,101,356	3,209,162
შპს „სიონი-მ“	1,250,000	187,335	2,303,232	3,740,566
<b>სულ:</b>	<b>4,500,000</b>	<b>785,618</b>	<b>7,284,492</b>	<b>12,570,110</b>

საქართველოს მთავრობის 2010 წლის განკარგულებებით განხორციელდა სესხების რესტრუქტურირაცია 5 წლის ვადით. 2015 წლიდან სესხებზე პროცენტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ შექმნილია 2012 წელს ზემოთ ჩამოთვლილი 4 კომპანიის ბაზაზე. აღნიშნული სესხების დაფარვა წამგებიანი კომპანიის მხრიდან უიმედოა, რადგან მას ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებებით ეძლევა 13-14 მლნ ლარის სუბსიდია მიმდინარე საქმიანობისთვის.

დანარჩენი 6,074,627 ლარის დებიტორული დავალიანების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილი N4-ში:

**ცხრილი N4.** სხვადასხვა პროექტებზე გაცემული სესხები

ორგანიზაციის დასახელება	წარმოშობის წელი	სულ:
საქვ. დაწეს. – სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გადმოსული სხვადასხვა დებიტორული დავალიანება	2006	2,580,255
შპს „მარცვალი“	2006	1,576,750
შპს „ბეგი კომპანი“	2006	1,440,338
შპს „ღვარები“	2006	272,334
შპს „ერედვი“	2004	70,000
ფ/კ ზვიად კობერიძე	2004	70,000
სს „სოფლტექსერვისი“	2004	36,878
შპს „გორა-2003“	2004	28,072
<b>სულ:</b>		<b>6,074,627</b>

ამერიკული ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მარცვლეულის მოსავლის მოყვანის პროექტში მონაწილე კომპანიებზე: შპს

„მარცვალი“, შპს „ბეგი კომპანი“ და შპს „ღვარები“ 2006 წელს კონკურსით გაცემულია სესხები, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 30 ივნისის N129 დადგენილების საფუძველზე. ასევე, 2004 წელს სერვისცენტრების გახსნის მიზნით, გაცემულია სესხები შემდეგ კომპანიებზე: შპს „ერედვი“, ფ/პ ზვიად კობერიძე, შპს „გორა-2003“, სს „სოფლტექსერვისი“. აღნიშნული სესხების ჯამური თანხა შეადგენს 3,494,372 ლარს. სამინისტროს იურიდიული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დაუფარავ სესხებზე სასამართლო განჩინების საფუძველზე, 2010 წლიდან ძირითადად უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოების პროცესები.

სულ, სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს 18,644,738 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

## საკითხი 2.2 ვადაგადაცილებული ვალდებულებები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები – 8,583,378 ლარის ოდენობით. მათ შორის, გაუცემელი შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები შეადგენს 8,105,948 ლარს. ამასთანავე, ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტროს ბალანსიდან ფიქსირდება 3,664,471 ლარის ვალდებულება, რომელზეც პირველადი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარმოდგენილი ვერ იქნა. აღნიშნული დავალიანებები სამინისტროს აპარატს აღრიცხული აქვს ასევე საცნობარო მუხლშიც.

### 3. სხვა გარემოებები

#### საკითხი 3.1 სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი შემოსავლები

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ გარკვეული ტიპის<sup>35</sup> ხე-ტყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში. სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ზემოაღნიშნული ხე-ტყის შემსყიდველების მიერ ბიუჯეტში გადასახდელმა თანხამ 742,122 ლარი შეადგინა, ხოლო წარმოდგენილი სადეპოზიტო ამონაწერის მიხედვით ჩარიცხულმა თანხამ – 780,311 ლარი. აღნიშნული თანხები არ არის აღრიცხული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში და ასევე არ არის მოცემული ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია არასამართლიანად.

#### საკითხი 3.2 სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება

„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს კანონი“ განსაზღვრავს სამინისტროში შიდა ფინანსური კონტროლის დანერგვის წესსა და პრინციპებს. „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით,<sup>36</sup> „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის ეტაპების გაწერა დროში თანხმდება დაწესებულებასა (მხარჯავ) და ფინანსთა სამინისტროს შორის“. ამავე დადგენილებით, უწყება წლის დასრულებიდან მომდევნო წლის იანვრის ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვისა და განვითარების შესახებ წლიურ ანგარიშს.

სამინისტროში ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, მიმდინარეობს ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის პირველი ეტაპი. მინისტრის ბრძანებით<sup>37</sup> დამტკიცებულია სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების წესი.

#### საკითხი 3.3 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს არ დაუსრულებია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების 2018 წლის ინვენტარიზაცია. კერძოდ, არ შედგენილა საინვენტარიზაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი შედეგების შესახებ. ამასთანავე, სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოში არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ასევე, სსიპ – სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიისა და სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული არ არის საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში, დარღვეულია „ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ ინსტრუქციის<sup>38</sup> მოთხოვნები.

<sup>35</sup> ტყეკავის შედეგად სააგენტოსთვის უსასყიდლოდ გადმოცემული ხე-ტყე (გარდა საშეშე მერქნული რესურსისა).

<sup>36</sup> 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილება.

<sup>37</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 მარტის ბრძანება N2-259.

<sup>38</sup> ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“, მუხლი 13, პუნქტი 10; მუხლი 2 და მუხლი 3.

## 4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

**ხელმძღვანელი პირების  
ვალდებულებები  
ფინანსურ  
ანგარიშგებასთან  
დაკავშირებით**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამყდავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

**აუდიტორის  
პასუხისმგებლობა  
ფინანსურ  
ანგარიშგებასთან  
დაკავშირებით**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;



ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას; ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.


აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ანა ალავერდაშვილი  
წამყვანი აუდიტორი

მამუკა გოგობია  
წამყვანი აუდიტორი

გიორგი დავითაშვილი  
აუდიტორი





ანა ბურდიაშვილი  
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ლიზი ცივაძე  
აუდიტორ-ასისტენტი

ირაკლი ბაჩიაშვილი  
აუდიტორ-ასისტენტი

ა. ბურდიაშვილი  
ლ. ცივაძე  
ი. ბაჩიაშვილი

**ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)**  
**ფორმები**

დასახელება	ანგარიში	31/12/2018	31/12/2017
<b>აქტივები</b>			
<b>მოკლევადიანი აქტივები</b>			
ფულადი სახსრები	1100-1200	40,302,182	44,740,276
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	62,769,108	65,513,172
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	19,017,658	34,135,390
სხვა მატერიალური მარაგები	1620	15,247,848	9,588,784
<b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>		<b>137,336,796</b>	<b>153,977,622</b>
<b>გრძელვადიანი აქტივები</b>			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	1,360,870,305	1,333,035,668
სტრატეგიული მარაგები	1610	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	1,875,889	1,800,865
ძირითადი აქტივები	2100	163,661,288	137,503,340
ფასეულობები	2300	-	-
არაწარმოებული აქტივები	2400	21,046,582	18,183,171
საინვესტიციო ქონება	2500	-	-
<b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>		<b>1,547,454,064</b>	<b>1,490,523,044</b>
<b>ბალანსი</b>		<b>1,684,790,860</b>	<b>1,644,500,666</b>
<b>ვალდებულებები</b>			
<b>მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები</b>			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	353,700	635,880
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	14,059,746	14,301,608
<b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები</b>		<b>14,413,446</b>	<b>14,937,488</b>
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	-	3,300,000
<b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>		<b>-</b>	<b>3,300,000</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>14,413,446</b>	<b>18,237,488</b>
<b>კაპიტალი</b>			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,633,759,973	1,589,045,745
გაუნაწილებელი მოგება	5220	36,617,438	37,217,431
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>1,670,377,411</b>	<b>1,626,263,176</b>
<b>ბალანსი</b>		<b>1,684,790,857</b>	<b>1,644,500,664</b>

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2018 წლის 31 დეკემბერი			2017 წლის 31 დეკემბერი
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	263,009,177		263,009,177	245,008,085
შემოსავლები (030+040+050+060)	31,741,994	41,366,344	73,108,338	1,084,415,629
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები			-	-
გრანტები	28,752,193	9,259,600	38,011,793	1,042,103,376
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>2,989,801</b>	<b>32,106,744</b>	<b>35,096,545</b>	<b>42,312,253</b>
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	65,201	1,354,107	1,419,308	965,719
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	29,244,447	29,244,447	20,953,347
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,887,326	268,458	3,155,784	1,733,887
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	34,068	87,268	121,336	1,309,532
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	3,206	1,152,464	1,155,670	17,349,768
<b>სულ:</b>	<b>294,751,171</b>	<b>41,366,344</b>	<b>336,117,515</b>	<b>1,329,423,714</b>
<b>ხარჯები</b>				
მომუშავეთა ანაზღაურება	42,579,915	12,561,677	55,141,592	42,943,489
საქონელი და მომსახურება	67,055,535	15,245,067	82,300,602	49,814,653
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	12,083,881	2,171,139	14,255,020	11,037,656
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	91,635,896	634,812	92,270,708	79,686,410
გრანტები	12,920,222	10,332,545	23,252,767	56,037,697
სოციალური უზრუნველყოფა	545,723	235,464	781,187	385,679
სხვა ხარჯები	22,627,200	6,511,718	29,138,918	19,625,129
<b>სულ:</b>	<b>249,448,372</b>	<b>47,692,422</b>	<b>297,140,794</b>	<b>259,530,713</b>
<b>ფინანსური შედეგი</b>	<b>45,302,799</b>	<b>(6,326,078)</b>	<b>38,976,721</b>	<b>1,069,893,001</b>

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
<b>წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი</b>	<b>44,714,228</b>	<b>(599,993)</b>	<b>44,114,235</b>
<b>კორექტირებები:<sup>1</sup></b>	<b>7,772,317</b>	<b>(905,419)</b>	<b>6,866,898</b>
<b>ცვლათა (+)</b>	12,083,881	2,171,139	14,255,020
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(19,775,994)	(7,041,583)	(26,817,577)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(5,331,679)	(327,385)	(5,659,064)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	(82,805)	7,781	(75,024)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	21,792,136	3,867,301	25,659,437
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(913,222)	417,328	(495,894)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>	<b>52,486,545</b>	<b>(1,505,412)</b>	<b>50,981,133</b>
<b>ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან</b>			
<b>არაფინანსური აქტივების გაყიდვა</b>	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-
ფასეულობები	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-
<b>არაფინანსური აქტივების შესყიდვა</b>	<b>16,589,545</b>	<b>4,080,105</b>	<b>20,669,650</b>
ძირითადი აქტივები	16,488,929	4,079,654	20,568,583
სტრატეგიული მარაგები	-	-	-
ფასეულობები	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	4,514	451	4,965
საინვესტიციო ქონება	96,102	-	96,102
<b>წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან <sup>4</sup></b>	<b>(16,589,545)</b>	<b>(4,080,105)</b>	<b>(20,669,650)</b>
<b>ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</b>			
<b>წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა</b>	<b>(32,865,908)</b>	<b>(4,332)</b>	<b>(32,870,240)</b>
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	6,488	(3,588,668)	(3,582,180)
<b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან<sup>5</sup></b>	<b>(32,859,420)</b>	<b>(3,593,000)</b>	<b>(36,452,420)</b>
<b>ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება<sup>6</sup></b>	<b>3,037,580</b>	<b>(9,178,517)</b>	<b>(6,140,937)</b>
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	28,755,947	15,984,329	44,740,276
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	30,768,402	9,533,780	40,302,182
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
<b>საწყისი ნაშთი</b>	<b>1,589,306,024</b>	<b>37,145,500</b>	<b>1,626,451,524</b>
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	(260,279)	71,931	<b>(188,348)</b>
<b>გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი</b>	<b>1,589,045,745</b>	<b>37,217,431</b>	<b>1,626,263,176</b>
<b>არასაოპერაციო შემოსავლები</b>	<b>16,291,278</b>	<b>7,773,655</b>	<b>24,064,933</b>
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	369,593	98,447	468,040
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	15,921,685	7,675,208	23,596,893
<b>არასაოპერაციო ხარჯები</b>	<b>12,223,493</b>	<b>1,197,316</b>	<b>13,420,809</b>
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	69,989	113,720	183,709
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12,153,504	1,083,596	13,237,100
<b>ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები</b>	<b>4,656,360</b>	<b>850,254</b>	<b>5,506,614</b>
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	4,656,360	-	4,656,360
მოგების გადასახადი	-	850,254	850,254
<b>საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი</b>	<b>45,302,799</b>	<b>(6,326,078)</b>	<b>38,976,721</b>
<b>ნაშთი წლის ბოლოს</b>	<b>1,633,759,969</b>	<b>36,617,438</b>	<b>1,670,377,407</b>

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი თ დამტკიცე ბული გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დაზუსტებუ ლ და დამტკიცებუ ლ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივი ი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივი ) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმასა შორის	დარიცხულ ი ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივი ) ხარჯს შორის
<b>ხარჯები</b>	<b>226,481,000</b>	<b>211,137,850</b>	<b>93.23%</b>	<b>213,553,724</b>	<b>101.14%</b>	<b>249,448,372</b>	<b>35,894,648</b>
<b>მათ შორის:</b>							
შრომის ანაზღაურება	43,440,000	42,687,300	98.27%	42,580,790	99.75%	42,579,915	(875)
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,489,000	24,845,255	184.19%	16,589,545	66.77%		(16,589,545)
ფინანსური აქტივების ზრდა	22,495,000	35,441,000	157.55%	32,865,908	92.73%		(32,865,908)
ვალდებულებე ბის კლება	-	-	-	-	-	-	-



## საკონტაქტო ინფორმაცია

---

**ვებგვერდი და  
სოციალური მედია**

<https://www.sao.ge/>  
<https://www.budgetmonitor.ge/ka>  
<http://www.blog.sao.ge/>  
<http://www.sai.ge/main/>  
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>  
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>  
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

---

**ცხელი ხაზი**

(+995 32) 243 81 81

---

**ელექტრონული ფოსტა**

[sao@sao.ge](mailto:sao@sao.ge)

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38